ხუთშაბათი, 18 ნოემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 18 ნოემბერი, 1904 წ.

# ივერია

№ 264 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 264

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

## გაზეთი „ივერია“

1-ლ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს 2 მან. 75 კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—30)

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

## კალენდარი (სათვეო) „ცოდნა“

მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა **ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—10).

**დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან**

## საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

**იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის**

## სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავლ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი:** ტფილისი, კ. თავართქილაძე. (6—4).

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ზ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**ბედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა, № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოხუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## რომეო და ჯულიეტა

ოპერა 5 მოქმ., მუს. გუნოსი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი დონსკოი-ეიხენვალდისა, ნიკიტსკაია, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, კომაროვი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 19 ნოემბერს,

მე-6 «გალა» წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება

I

## ა ლ ე კ ო

ოპერა 1 მოქმ. მუს. რახმანინოვისა.

II

## პ ა ი ა ც ე ბ ი

ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

III

## M-lle ფ ი ფ ი

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ც. კიუისა.

შაბათს, 20 ნოემბერს, წარმოდგენა არ გაიმართება.

კვირას, 12 ნოემბერს,

საიმპერატ. თეატრის არტისტის ქ-ნ ეიხენვალდის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა და **«მანონი»**, მუსიკა მასსენესი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

იქნება თუ არა ამ ზამთარს ომი? უშველებელი ჯარები დგანან მდინარე შახეზე რუსისა და იაპონელებისა, ჰზვერავენ ერთმანეთს, უთვალთვალებენ და ჯერ კი ვერც ერთი ვერა ჰბედავს ხელის გამოღებას, თუ არ ვიანგარიშებთ სრულებით უმნიშვნელო მოწინავე შეტაკებებს, რომელიც თითქმის მუდამ დღე ჰხდება. ზოგი ჰფიქრობს, რომ იქნება ამ ზამთარს სრულებით შეაყენონ ბრძოლა გაზაფხულამდეო. სხვები კი იმ აზრისანი არიან, რომ ზამთარი ბრძოლას ხელს არ შეუშლისო. გაზეთ „რუსსკია ვედომოსტ“-ის სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. იკვლევს საქმის ვითარებას და ამბობს, რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარე ისეთს მზადებაში არიან, რომ დიდს ბრძოლას უნდა დღე-დღეზე ველოდეთო. მთავარსარდალი თავს არ მოუყრიდა მუკდენთან ხუთაისი-ათას მეომარს, თუ განზრახვა არა ჰქონდეს ამ ზამთარს შეებრძოლოს მტერს. სეკდემბრის საშინელი იერიში იმიტომ იყო მის მიერ მიტანილი იანტაის მიდამოებში, რომ ეშველნა პორტ-არტურისთვის. მას აქეთ ამ ციხის მცველთა მდგომარეობა უფრო გამძიმდა და უფრო ეჭირვებათ შველა. ამიტომ ყოველ წამს მოსალოდნელია, რომ თუ კი გარემოება ხელს შეუწყობს, გენერალი კუროპატკინი მაშინათვე გაილაშქრებს მტრის დასაძლევათ და პორტ-არტურისაკენ გზის გასაკვეთავათ. ამ ციხის ბედი რომ არა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა გაზაფხულამდე შემდგარიყო ბრძოლა, იმიტომ, რომ მანამდე ადვილად მოახერხებდა რუსეთი გადაეყვანა კიდევ 150—200 ათასი ჯარის-კაცი. ეხლა კი ძალიან ძნელი იქმნება საგრძნობლათ გაზევრება მაშველ ჯარისა, ამიტომ რომ, ციმბირის გზა თვეში 35000 კაცზე მეტს ვერ გადაიყვანს, გინდაც რომ მარტო ამ საქმეს მოანდომოს მთელი თავისი ღონე. გარნა უნდა ისიც გვახსოვდეს, რომ ციმბირის გზას ბევრი დაჭრილი ხალხი ჰყავს გადმოსაყვანი რუსეთში. თვითონ მთავარ სარდალი სწერდა ამას წინათ, რომ მუკდენიდან ხარბიზე გავისტუმრე ერთის თვის განმავლობაში 32000 დაჭრილი კაციო. თითო ვაგონზე რომ თორმეტი დაჭრილი იანგარიშოთ, დღეში ექვსი მატარებელი დასჭირდებოდაო. მდინარე შახეზედ გამარჯვებას საშინელი მსხვერპლი დასჭირდება. მაშასადამე, დაჭრილთა რიცხვი აუარებელი იქმნება და მათი გამოსტუმრება ძლიერ ბევრს დროს წაართმევს ციმბირის გზას. რაღა თქმა უნდა, რომ ეს გზა არა თუ თვეში 35,000 კაცს ვეღარ მიაშველებს გენერალ კუროპატკინს ყოველ თვეს, არამედ შესაძლებელია განმეორდეს ისა, რის მოწამენიც ვიყავით წარსულ ზამთარს, როდესაც სამის თვის განმავლობაში ძლივს გადავიყვანეთ 40—45 ათასი მეომარიო.

ამავე დროს მარშალ ოიამას პირდაპირი ანგარიშია—უეჭველად ეხლავე შეებრძოლოს რუსის ჯარებს, ვიდრე არ გადასულა მანჯურიაში ახალი კორპუსები, თორემ გაზაფხულზედ ძალიან გაუჭირდება საქმე. თან ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თუ ოიამას არ ეწადოს ამ ზამთარს დიდი ომი, იგი ასე ერთგულ არ გააკეთებდა ზურგის გზებს. ინკოუსა და შახეზის ნავთსაყუდლები იყინება ზამთრობით, იქიდან ვეღარ მოიყვანს მაშველ ჯარებსა და ვერ მოიტანს სურსათს. ამიტომაც ზამთრისთვის მან დაიდო ბინათ დალნი და ჩემულპო. დალნიდან რკინის გზა გადააკეთა შახემდე ორ ვიწრო ლიანდაგათ, ჩემულპოდან კი გაიყვანა რკინის გზა იალუმდე და იქიდან ფინხუანჩენამდე, საიდამაც გაკეთებულია ცხენის რკინის გზა ტაიძიხემდე. ეს გზები ოკდომბერშივე სულ მზათა ჰქონდა. რაკი ზემოხსენებული ნავთსადგურები დაიყინება, მაშინდვე მიჰმართავენ ზემოხსენებულ გზებსა. ასეთი დიდი გამზადება აშკარათა ჰმოწმობს, რომ მარშალი ოიამა უეჭველად ამ წლის გასულამდე მოიტანს იერიშს და თუ ჯერ-ჯერობით არა ჩქარობს, ეგ ალბათ იმის მიზეზია, რომ ელის გენერალ ნოგის მეცადინეობას პორტ-არტურის აღების შესახებაო. (რ. ვ.).

—

**ინგლისელ ჟურნალისტის აზრი ომის შესახებ.** გაზეთ «დელი ტელეგრაფ»-ის სამხედრო კორესპონდენტი შორეულ აღმოსავლეთიდგან ევროპაში დაბრუნდა და გაზეთ «პატრის»-ის თანამშრომელს რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ შემდეგი უამბო: «ომი დიდ-ხანს გასტანს. რუსებს ამ ომში, უეჭველია, დიდი გამარჯვება არ მოელის. მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, ვითომ უარს ვყოფდე რუსეთის ჯარის სიმამაცესა, არამედ იმიტომ რომ რუსეთის ჯარს წინ ბევრი დამაბრკოლებელი შემთხვევა გადაეღობა: იაპონიას შეუძლიან პირველ საჭიროებისათანავე ერთი მილიონი ჯარი გამოიყვანოს ბრძოლის ველზე, რუსეთი კი იაპონელების წინააღმდეგ ექვსას ათას კაცზე მეტს ვერ გამოიყვანს, რადგან ამოდენა ჯარის გამოკვება ძალიან ძნელია. რუსეთმა ომიც რომ წააგოს, ბევრს არას დაჰკარგავს. რუსეთი ეხლა ახალშენის შეძენისთვის იბრძვის. ბალტიის ესკადრის მისვლას ომის ვითარებაზე დიდი გავლენა ექმნება. იაპონელებისთვის კი ეხლანდელი ომი მის ბედისა და მომავლის გადაწყვეტას ნიშნავს. იაპონიის ხალხი ცუდ მდგომარეობაშია: იაპონელები კუნძულებზე სცხოვრობენ, ეს კუნძულები 48 მილიონ კაცს საცხოვრებლად არა ჰყოფნის და ამიტომ იაპონელები ახალ ადგილის მოპოვებისათვის იბრძვიან. აი, სწორედ ამიტომ იბრძვის იაპონელი არაჩვეულებრივისა და გასაკვირველ სიმამაცით. იაპონელი და რუსის ჯარის კაცები სიმამაცით ერთმანეთს არ დაუვარდებიან, მაგრამ იაპონელი ჯარის კაცი გონებრივ განვითარებით რუსის ჯარის კაცს სჯობნის. რაც შეეხება იაპონიის ეკონომიურ მდგომარეობას, იგი გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე ევროპაში ჰგონიათ. (პ. ვ.).

—

**იაპონელების აზრი ზავის შესახებ.** გაზეთი «დელი ტელეგ.»-ს მოჰყავს იაპონელების აზრი კორეისა და მანჯურიის შესახებ. იაპონელები ეხლა კორეიას ისე უყურებენ, როგორც იაპონიის კუთვნილებას, ამიტომ ომის გათავების შემდეგ კორეია ოფიციალურად სანეიტრალო სახელმწიფოდ უნდა იქმნას აღიარებული, ნამდვილად კი ამ სახელმწიფოში, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით უპირატესობა იაპონიას უნდა ჰქონდესო. მანჯურია ჩინეთს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ ერთის პირობით კი: ჩინეთმა უნდა უზრუნველჰყოს მანჯურია რუსეთის მიერ ხელმეორედ დაპყრობისაგან. ომის დაწყებამდე იაპონია რუსეთს ბევრს ისეთს რასმე დაუთმობდა, რასაც ეხლა აღარ დაუთმობს. დიდი სისულელე იქმნება ვიფიქროთ, ვითომ ამოდენა ფულის დახარჯვისა და ხალხის გაწირვის შემდეგ იაპონია რუსეთს ეხლაც იმას დაუთმობს, რასაც 1903 წ. უთმობდა. იაპონიას ეხლა პორტ-არტურის გარდა მანჯურიის მთელი სამხრეთი ნაწილი უჭირავს და სურს კიდევაც შეინარჩუნოს ის, რაც იარაღით მოიპოვა. იაპონიას მთელ მანჯურიიდან რუსეთის განდევნა და იქ ჩინეთის გამეფება სურს, მაგრამ შეუძლიან ჩინეთს ახლად დაბრუნებულ პროვინციის შენარჩუნება იარაღით? იაპონია მანჯურიას მეორედ იპყრობს და მისი მესამედ დაპყრობა არა სურს. იაპონიას აი, სწორედ ამიტომ სურს მანჯურია ჩინეთს იქამდის არ დაუბრუნოს, სანამ ჩინეთი მტკიცედ უზრუნველ არა ჰყოფს რუსეთის მხრივ მანჯურიის ხელშეუხლებლობას. იაპონელები რუსების დევნასა და მოსკოვში ზავის ჩამოგდებას არ აპირობენ. ისინი არა ჰგვანან რუსებს, რომელთაც გულ-უბრყვილოდ სწამთ, რომ ზავის პირობებს ტოკიოში დავწერთო. მაგრამ იაპონელები თავიანთ ინტერესების დაცვას ბოლომდის აპირობენ და მხოლოდ ისეთ ზავს დასთანხმდებიან, რომელიც მათ ინტერესებს უზრუნველ ჰყოფს. („ნ. ვ.“).

—

**წვრილი ამბები.** «დელი გრაფიკ»-ს უწყება: ბალტიის ესკადრის მესამე რაზმს შეადგენენ ისეთი გემები, რომელნიც რუსეთის ფლოტში უსწრაფესმავალ გემებად ითვლებიან. ეს გემები ახლები არიან და საათში 19—20 მილს გადიან. ეს გემები ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრას ინდოეთის ზღვაში წინდაწინვე დანიშნულ ალაგას შეუერთდებიან და ან მოწინავე ფლოტილიის ადგილს დაიჭერენ, ანაც მზვერავ რაზმის მოვა-

ლეობას იკისრებენ. ეს რაზმი რუსეთის ფლოტის ყური და თვალი იქნება და იაპონელებთან პირველად ამ რაზმს მოუხდება შეჯახება.

# ახალი ამბავი

**მთავარ-მართებლის თანაშემწე ი. დ. მალამა** გუშინ-წინ ღამის მატარებლით ჩამოვიდა ეკატერინოდარიდან ტფილისში და სადგურიდგან პირდაპირ გაემართა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, კარცევის სახლში. სადგურზე ი. დ. მალამას წარუდგნენ ტფილისის ყველა დაწესებულებათა უფროსები და სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

*** **მთავარ-მართებლის თანაშემწედ ყოფილი ა. ა. ფრეზე** დღეს, 18 ნოემბერს, საღამოს 5 ს. 40 წ. მიემგზავრება ტფილისიდგან ქალ. ვილნოს.

*** **სემინარიის ძველი შენობა.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას განზრახვა ჰქონდა სემინარიის შენობის შეძენა; ახლა ამავე აზრით მიუმართავს სასულიერო უწყებისთვის ქალაქის თვითმართველობასაც.

სემინარიის შენობა ადგილითურთ სასულიერო უწყებას შეუფასებია 500,000 მანეთად.

*** **პრინცი ნაპოლეონ მიურატი**, რომელიც ამას წინად მანჯურიაში დასჭრეს, ამ ჟამად ზუგდიდის მაზრაში იმყოფება, სოფ. ჭკადუაში, თავის დედის პრინცესა სალომე მიურატის მამულში. როგორც-კი მორჩება, პრინცს განზრახვა აქვს კვლავ დაბრუნდეს ბრძოლის ველზედ დაღესტნის პოლკში, სადაც მსახურებდა ესაულის ჩინით.

*** **სანიტარული დადგენილება.** როგორც ვიცით, ტფილისის გუბერნია ხოლერის მხრივ ცნობილ იქმნა საშიშოდ და ამიტომაც ძალაში შედის დროებით შემუშავებული და უმაღლესის მთავრობის მიერ დამტკიცებული სანიტარული დადგენილებანი. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, დაჯარიმებული იქმნება სამასის მანათით ანუ სამის თვით ციხეში დაპატიმრებით.

*** **საზღვარ გარეთ გატანილ შავი ქვის რაოდენობა.** როგორც შავი ქვის მწარმოებელ კრების საბჭოს ანგარიშიდგანა სჩანს, ამ წლის 1 ნოემბრამდე დაბა ჭიათურის ბაქნებზე ეწყო 12.662,000 ფუთი შავი ქვა ჭიქორში—9,407,000 ფუთი და სოფ. დარკვეთში 643,000 ფ., სულ —22,712,000 ფუთი შავი ქვა. მთელის თვის განმავლობაში ბათომიდგან გაუტანიათ გერმანიაში 100,700 ფუთი, ხოლო ფოთიდგან ჰოლანდიაში—275,900 ფუთი და სამხრეთ რუსეთში—566,500 ფუთი შავი ქვა.

*** **მახობელი.** ამას წინად ერთმა მაზრის მარშალთაგანმა აღძრა საგანი, ქართლში მახობლის პურსა ჰხმარობენ და გამოიკვლიეთ, მავნებელი ხომ არ არისო. გუშინ-წინ, 16 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიის მკურნალი კრება ჰქონდათ ამის თაობაზედ და გამოუკვლევიათ, რომ «მახობელი» ძლიერ მარგებელი პური ყოფილა—20% ზეთეული სიმსუქნე ჰქონია თურმე ამ პურს და ამიტომ გვიანობამდის არა ჰხმება. საინტენდანტო გამგეობას მოსწონებია ეს პური და დაუგენია, ვსთხოვოთ მთავრობას, რომ ამას იქით ჯარში ეს პური ვიხმაროთ და რუსეთიდგან «არჟანოვის» პური აქ აღარ მოვიტანოთო.

*** **ჟურნალი „მოამბე“.** ჩვენ მივიღეთ «მოამბის» № მეათე, რომელიც შემდეგის შინაარსისაა: 1) «ნიღაბი».—დრამა ერთ მოქმედებად რობერტო ბრაკოსი (ფრანგულიდან) ალექ. სარაჯიშვილისა. 2) ნერონი»—მოთხრობა ოტტო მარისა და ჰენრიხ ტალესი, თარგ. გ. წყალტუბელისა. 3) «გლეხი კაცი», - წიგნი მესამე. თავი VI, რომანი ვილჰელმ ფონ-პოლენცისა.—თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა. 4) «ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი (1846-1893) საბიოგრაფიო მასალა, გ. ნათაძისა. 5) «ცხოვრება და ღვაწლი თ'დის გრიგოლ ორბელიანისა“, თავი XVII. ი. მეუნარგიასი. 6) «ისტორიული დოკუმენტები იმერეთის შესახებ: 1) წერილი მეფე სოლომონ I-ისა პაპის პიო VI მიმართ. 7) სვანეთის ხელთნაწერი სახარებანი,—მღ. ბესარიონ ნიჟარაძისა. 8) ახალი ზელანდია—ინგლისის ახალშენი, თავი—XII პ. გ. მელიქსეთ-ბეკისა.—თარგმანი ნ. ალნიაშვილისა. 9) ნარევი. შინაური მიმოხილვა — ქართული თეატრი—ფ. გოგიჩაიშვილისა. 9) უცხოეთის მიმოხილვა.

*** **ელექტრონის ტრამვაი.** ამ თვის 26 ნოემბრიდგან დაიწყებს მოძრაობას ელექტრონის ტრამვაის ახალი ვაგონები შემდეგს ქუჩებში: ვოგზლის ქუჩაზე. მიხეილის პროსპექტზე, აქედან გაივლის ნიკოლოოზის ხიდს და შუა ბაზრისაკენ წავა.

*** **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულება.** ინჟინერ ივანოვსკის ბრძანებით, პირველ, მეორე და მესამე კლასის ყველა სამგზავრო ვაგონებში, რომელნიც ერევნისა, ტფილისისა, ბაქოსა და ბათუმის სადგურებზე გაჩერდებიან, უეჭველად დეზინფექციას მოახდენენ.

*** **ტრამვაის ახალი გზა.** ერთს წელზე მეტი იქმნება, რაც მ. ყარაგეოზოვმა თხოვნა მისცა ქალაქის თვითმმართველობას, ნება მიეცათ მისთვის ტრამვაის ლიანდაგი გაეყვანა ოლგას ქუჩიდგან მოკიდებული საბურთალოს მოედნამდე. კონცესია 40 წლით უნდა დაეთმოთ მისთვის. უსახელო საზოგადოებამ ამ გზის გაყვანაზე უარი განაცხადა და ეხლა ბ-ნი ყარაგეოზოვი კვლავ სცდილობს ამ კონცესიის აღებას და ამხანაგობას ადგენს, რომ მომავალ წლიდგან შეუდგეს გზის გაყვანას.

*** **ქალ. ფოთის საყურადღებოდ.** როგორც ფოთიდგან გვატყობინებენ, ამ დღეებში ქალაქის გამგეობაში განცხადება შეუტანიათ ადგილობრივ მკვიდრთ, რომ ქალაქმა იჯარით მისცეს მათ ქალაქის განათება, რიონის ორთავე შტოზე სანდლებისა და პატარა ბარკასების მისადგომი და მდინარე კაპარჭინაზე ტივებზე გაწერილ ბაჟის აკრება. როგორც ვიცით ქალაქი აქამომდე განაგებდა ამ წყაროების შემოსავალს და სხვა და სხვა აგენტები ჰყავდა დაქირავებული ხარჯების ასაკრებად მოიჯარადრენი მეტად ხელსაყრელ ფას აძლევენ ქალაქის გამგეობას, ასე რომ, თუ ვინიცობაა ქალაქმა იჯარით გასცა აღნიშნული წყაროები, მაშინ თავის თავად ცხადია, რომ ეხლანდელ აგენტების თანამდებობა მოისპობა და მომავალში მათთვის საჭირო ხარჯების გაწევა არ დასჭირდება ქალაქს.

# საქართველო

**ჭიათურა.** შემოდგომამ ჩვენის ბაზრის ქუჩები ტალახისა და წუმპეს მორევებად გადააქცია. ვაჭრები და მემაულენი ყურს არ იბერტყენ და არას დასდევენ ქუჩების შეკეთებას. სულ შავის ქვის საბჭოზედ აქვთ ყოველივე იმედი დამყარებული. გზაც საბჭომ გააკეთოს, ქუჩებიცაო, წყაროცა და აბანოცა, სამკურნალო, საკვირაო სკოლა და ათასი სხვა.

ქართული წარმოდგენები ხშირად იმართებოდა აქ, სასურველია, წელსაც იმართებოდეს, თუ ხშირად არა, თვეში ერთხელ მაინც. მუშა ხალხი საკმაოდ შეეჩვია თეატრს. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მისთვის მომზადებულ იაფ-ფასიან ბილეთებს ვაჭრები და საზოგადოდ შეძლებულები ყიდულობენ და ისინი კი რჩებიან ცარიელზედ.

ხოლერის მოლოდინმა ცოტაოდნად აამოძრავა აქაურობა და სისუფთავისათვის თავი გამოიდეს. ერთი ჭირი მარგებელიაო, ამაზედ იტყვიან.

შავი ქვის მუშაობა ძალიან შესუსტებულია. ადგილობრივ ფასებმა ძალიან დაიწია და ბევრმა მრეწველმა მუშაობა შეაჩერა.

ლადო გუბელი.

—

**ს. ბუბუ.** მოუსავლიობა. თუ შარშანდელმა მოსავალმა გაუტეხა გული მშრომელ ხალხს, სამაგიეროთ წლევანდელმა მოსავალმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა სიუხვით და მით გაამხნევა და გაახარა მშრომელ ხალხის უმეტესობა. მართლაც, სადაც შარშან ორი ურემი ძლივს მოვიდა ქცევაზედ და ისიც უვარგისი, წელს იმავე ადგილზედ ორი იმდენი მოვიდა და ღირსებითაც შარშანდელზედ ბევრად უმჯობესი; და რა გასაკვირველია, რომ გლეხს, რომელიც მოსავალს მისჩერებია ყოველისავე გადასახადებისა და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, თავისის მარჯვენის ნაყოფი რომ გაუხარდეს?! და აი, სწორედ ამისთვისაა, რომ შარშან თუ გულ-ხელ დაკრეფილ გლეხს შეხვდებოდით და მოგმართავდათ შემდეგის სიტყვებით: «დაიქცა წრევანდელი წელიწადი, ათი შაური რომ ვიანგარიშო დღეში ქირა, ჩემ მოწეულ სიმინდს მგონი ორი მანეთიც მოუვა ფუთზედ ფასი»-ო, წელს სამაგიეროთ გახარებულია, რადგან მან თავისის შრომის ნაყოფი მიიღო; თუმცა, ვაჭრულის საზომით რომ ვიანგარიშოთ, არც წელს დაუჯდება ფუთი მანეთზედ ნაკლებათ. ღვინის მოსავალიც გაცილებით კარგი იყო შარშანდელზედ, რომელმაც გააზშირა «მრავალ ჟამიერი» და ჰარიჰარალალო».

**ამერიკულ ვაზის გაშენება.** ორი წელიწადია, რაც აქ ამერიკულ ვაზის მოშენებას მიჰყვეს ხელი და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კარგი პირი უჩანს. განსაკუთრებით კარგი ნახეირებია საქარის სანერგეში გამოცდილება-მიღებულის ახალგაზდის ა. ფარცვანიას ნაშენი ვაზი და სანერგე, რომელიც თავდებია იმისი, რომ, თუ კი კაცი ენერგიულათ მოჰკიდებს საქმეს ხელს, რომელ დარგსაც უნდა ეკუთვნოდეს ის, უსათუოდ ღირსეულ ნაყოფს გამოიღებს მისი შრომა და მით სხვასაც აღუძრავს სპეციალურ ცოდნა-შრომის სურვილს.

**სკოლის შენობის უქონლობა.** ორი წელიწადია, რაც ჩვენს სოფელში დედათა სასწავლებელი არსებობს, მაგრამ ჯერ კიდევ საკუთარი შენობა არ მოეპოვება; თუმცა დარბაზის ასაგები ფულიც შეკრებილია და 300 მანეთსაც ხაზინა იძლევა ერთ დროულათ დარბაზის ასაგებ თანხაზედ მისამატებლათ, მაშ რა არის მიზეზი?—უთაურობა და განხეთქილება, რომელმაც, სამწუხაროთ, აქაც იჩინა თავი. ვისგანაც რასმე მოველოდით, ვინც ცოტათ თუ ბევრათ შესმენილი გვეგონა, ვისიც იმედი გვქონდა საქმის მოწყობა-მოგვარებისა, —სამწუხაროდ, ისინი უფრო პირად ინტერესს, მიუყოლლობას, უენერგიობას და შეუგნებლობას იჩენენ, და მის მაგიერათ, რომ რამე გააკეთონ, თავიანთი წვლილი იმათაც შეიტანონ საზოგადოებაში, სხვის გაკეთებულსაც შეელიან და თუ რამე გაუვიდათ, კიდევაც მონდომებულნი არიან, თავიანთი არა-კაცური საქციელი გაიყვანონ. სამწუხაროა, და დიდათ სავალალო, მაგრამ რას იზამ, ხომ მოგეხსენებათ ნათქვამი: «კარგი რამ გვჭირდეს—გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო».

აქაურის დედათა სკოლის მასწავლებელი გადაიყვანეს ს. ჯიხაიში. აქ კი გადმოიყვანეს ქ-ნი დევიძის ასული.

**მუნჯურ მეთოდით დატანჯულნი.** რადგან სკოლაზედ და მასწავლებელზედ ჩამოვარდა ბაასი, ურიგო არ იქნება, ორიოდე სიტყვა ჩვენს საჭირ-ბოროტო მუნჯურ მეთოდზედაც მოგახსენო, ჩემო მკითხველო: სამწუხაროდ, სწავლის საქმე ისე უკუღმართად არის მოწყობილი, რომ ბავშვი პირველ-დაწყებით სასწავლებელში თუ რამეს მოასწრებს სამშობლო ენის სწავლას, თორემ საშუალო სასწავლებელში ან სულ განდევნილია სამშობლო ენა, ან, თუ აკრძალული არ არის, სავალდებულოთ მაინც არ ითვლება და ბავშვების უმეტესობა გულ-გრილად ეკიდება და საშუალო სასწავლებელში პირველ დაწყებით სკოლაში ნასწავლიც კი ავიწყდება. სამწუხაროდ, ზოგიერთნი სოფლის მასწავლებელნი გულგრილად ეკიდებიან სამშობლო ენის სწავლებას და სრულიად ავიწყდებათ ის, რასაც ზნეობრივ მოვალეობას ეძახიან, და რომ ძალის მექონ კაცებს ასიამოვნონ, ქართულ გაკვეთილის დროს მუნჯურის მეთოდით სტანჯავენ და აწამებენ საბრალო მოსწავლეთ.

ლადო გუბელი.

# ლექსები

### კაეშანი.

შუქმა მთვარისამ, ციმციმით
გადმოსროლილმა ველადა
გულს ამიყვავა ტკივილი
სულ-ხორცის დასაწველადა.
აწ ვერ ვითვისე ალერსი
კვლავ ციურ მადლის მონამა
და სოიცნებოდ გაწვევამ
გული კაეშნით მონამა.

—

მე მწუხრის,—მარტო, დუმილით
ოხვრა ვაზნიო გულისა,
რომ ცრემლით ლაწვზე ადვბეჭდო
დაკარგვა სიხარულისა...
დუმილი—მხოლოდ შვებაა
კაეშნით დარდიანულისა,
მწარისა ოხვრით ცრემლი კი—
ამგები სიყვარულისა...

—

მაშ დამაცალე, მნათობო,
ობლად ვაზნიო ცრემლები,
თავზედ ჯადოსნურ ღიმილით
და ტრფობით ნუღარ მევლები.

რ. ბებიაშვილი.

## ქართული სიბრძნე.

(მგოსანთა ნათქვამიდგან)

გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა. (შოთა რუსთაველი).

❀❀❀ მოსვენებისა მდომელმან თავი ვეროდეს იქოსა. (ვახტანგ VI).

❀❀❀ რას არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდა თავისუფლება. (ნ. ბარათაშვილი).

❀❀❀ მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას. ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს, და არა გვარიშვილობას. (გრ. ორბელიანი).

❀❀❀ უმჯობესია კაცმა არა იცოდესრა, ვიდრე ცუდად იცოდეს ის, რაც იცის. (რ. ერისთავი).

❀❀❀ ნეტავ მას, ვინც დიდის საქმით აღნიშნავს თავის დროს. (ილია ჭავჭავაძე).

❀❀❀ სიცილი ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა. (აკაკი წერეთელი).

# მასხრობა

წარსულ სეზონში ქართულს თეატრში თამაშობდნენ «პატარა კახს», თვით ჩვენის მხცოვანის პოეტის რეჟისორობით. რა თქმა უნდა, მსახიობთ როლები ზეპირად ჰქონდათ შესწავლილი, მაგრამ, მიუხედავად ამის, ერთმა დამსახურებულმა მსახიობმა ასეთი ლექსი წამოისროლა: «თუმცა უდროვოდ დაგვიორსულდა ძველი არწივი თეიმურაზი», (უნდა ეთქვა კი—თუმცა უდროვოდ დაგვისნეულდა ძველი არწივი თეიმურაზი).

(რეზონიერის ჩაწერილი).

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბ-ნი კარაბჩევსკი ამტკიცებს «იურისტ»-ში, რომ ნდობის პოლიტიკას, თ-დ სვიატოპოლკ-მირსკის მიერ ნაუწყებს, დიდი მნიშვნელობა აქვსო. ავტორი ამბობს, რომ მთელი ერი დაღონებული იყო, დამბარებულიო. როცა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ასეთს ყოფაშია, ხოლო მანუგეშებლად გამოდის უმაღლესი წარმომადგენელი მთავრობისა და იმის ბაგით მოისმის სიტყვა „ნდობისა“; მოისმის ისეთს დროს, როცა ერს გულისგაკეთება ეჭირვება, როცა ათასი ფიქრი და ზრუნვა აწევს კისრად და საჭიროა დიდის ნიჟიერისა და სულის ძალღონის გამოჩენა, ასეთი სიტყვა უბრალო, მსწრაფლ-გარდამავალი ფსიხოლოგიური მომენტი აღარაა. ამ სიტყვას დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს და სადღესასწაულო აქტსა ჰგავს იურიდიულის მნიშვნელობისას. ბ-ნი კარაბჩევსკი დარწმუნებულია, რომ უნდობლობას ადგილი აღარ ექმნება რუსეთის ცხოვრებაში.

ამის თავმდებია, ერთის მხრივ, რუსეთის უკეთესთა კაცთა ღირსეული, თავდაჭერითა და დარბაისლობით აღსავსე ქცევა. ისინი მოვალენი არიან პატიოსნად და გულ-წრფელად მოეკიდნენ თავიათ საქმეს და შეასრულონ თვისი ისტორიული მოწოდება. ამისავე თავმდებია, მეორეს მხრივ, რაინდული, უცვალებელი ერთგულება უკვე გამოცხადებულისა და ნაუწყების დევიზისა.

ყოველივე შეიძლება განიბჭოს, ყველაფერზედ შეიძლება კამათი და ბევრი რამ შეიძლება მორიგებულ იქმნას, როცა გულ-წრფელად გსურს მარტო ოდენ სიკეთე საზოგადოებისა, ბედნიერება შენის ერისა და არა საკუთრად შენი ხეირი, შენი გამორჩენა.

პირველი და უმთავრესი რაც იყო, რამაც შეძლება მოგვცა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, უკვე აღსრულდა. „ნდობამ“ უკვე ნაყოფი გამოიღო. მწერლობამ ახლა სულ სხვანაირად დაიწყო, მაგალითად, დაპატარაკი და მით, ჯერ, მადლობა ღმერთს, უბედურობა არა დატრიალებულა-რა. არც შემდეგ დატრიალდება, თუ ოდენ ყველა პატიოსნებით და გულ-წრფელობით აღივსოს და მიისწრაფოდეს, ეტანებოდეს ერის დიდებულს საქმეს—მრავალ-ტანჯულ და წამებულ რუსეთის სიკეთეს.

ვგონებ, ერმა თავისის ხანგრძლივისა და შეუპოვარის მოთმინებით დაამტკიცა, რა დაუშრეტელი წყარო სულიერის ძალ-ღონისაა დაფარული რუსეთის გულში.

ახლა, როცა გაისმა სიტყვა ნდობისა, როცა ელექტრონის ნაპერწკალივით იგი სიტყვა ცხოველ-მყოფელობით ესალბუნა ჩვენს ძარღვებს, ჩვენს გულს, ქვეყანამ მთელის თავისის არსებით უნდა იგრძნოს და შეიგნოს, რადგან სადღესასწაულოა და ყოვლად-საყურადღებო დღევანდელი დღე.

თუ გავანაწევრებთ და განვსწვალავთ ცნებას ნდობისას, რომელსაც ერთი უწევს მეორეს, უნდა დავასკვნათ, რომ იგი ცნება მუდამ ორ-მაგია, ორ-კიდროვანი და მუდამ დამყარებულია ურთიერთობაზედ, მუდამ მომასწავებელია და მომავლინებელი მარტო ოდენ მშვიდობისა.

ამაშია ყოვლადი მისი ძალი, ყოვლადი მისი მნიშვნელობა. უამისოდ ნდობა ერთის მესაძლოა ხავანგად გადიქცეს მისთვისვე. დასასრულ, ნდობა, რომელსაც ერთი უცხადებს მეორეს საჯაროდ, საყოველთაოდ, ქვეყნიერობის თვალ-წინ, არ შეიძლება დარღვეულ იქმნას დაუსჯელად, თვით-ნებობით.

თვისის იურიდიულის არსებობისათვის ამას არ ეჭირვება არც ეტრატზედ დაწერილი პირობა, არც ავგარაზივით ჯოხზედ დახვეული ქარტა, არც ხელის-მოწერა და ბეჭდების დასმა.

# რუსეთი

შინაგან საქმეთა ახალ მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკის განკარგულებით არხანგელსკიდან დაბრუნებული ლავრინოვიჩი გაზ. «იურისტ»-ში სწერს თავის თავგადასავალს. ტეხნიკურის განათლების წარმომადგენელთა მესამე კრების გაუქმების შემდეგ ლავრინოვიჩი პლევეს განკარგულებით დააპატიმრეს. ჩვენება ჟანდარმთა აფიცერმა ჩამომართვა,—სწერს ბ. ლავრინოვიჩი,—და ისეთი გამამტყუნებელი საბუთები ჩამომითვალა, რომელიც მხოლოდ გაგონილი მქონდა. მე დასამტკიცებელი საბუთები მოვთხოვე; აფიცერმა წამიკითხა საიდუმლო განყოფილების აგენტების წერილები, რომლებშიაც იმდენად სუსტი და უსაფუძვლო საბუთები იყო ჩამოთვლილი, რომ მე ისინი ადვილად უარვყავ. შვიდი კვირა ციხეში ვიჯექი, მერე კი გამომიცხადეს, რომ სამის წლით არხანგელსკის გუბერნიაში უნდა გაგგზავნოთო. ტყუილად ვეცადე ასეთ სასტიკ სასჯელის მიზეზების გაგებას. თავიანთ განკარგულების გასამართლებლად საბუთები ვერ იპოვეს და პირდაპირ გამომიცხადეს: «მავნე მიმართულებისთვის» გგზავნითო. მხოლოდ იმიტომ, რომ მე მაშინდელ მინისტრის პოლიტიკას არ ვემხრობოდი, ოჯახსა და ახლო მეგობრებს მომაშორეს, ჩემ საქმეს თავი დამანებებინეს, ციხეში ჩამსვეს და ჟანდარმების თანხლებით ისეთ ქვეყანაში გამგზავნეს, რომელიც ჩემ ავადმყოფ სხეულისათვის სიკვდილის წყარო იყო. ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ ჩემ გასაცილებლად მოსული ჩემი მშობლები ჩემთან არ მოუშვეს და როცა ისინი ხელის ჩამოსართმევად ჩემსკენ გამოიწევდნენ ხოლმე, ჟანდარმები, უფროსების ბრძანებით, იმათ განზე ერეკებოდნენ. ჩემთვის უცხო მხარეში დავსახლდი. ცხოვრების სახსარი არა მქონდა და ამ სახსრის შოვნის ნებაც არ მომცეს, რადგან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ კაცს ინტელიგენტურ შრომის ნება თითქმის არა აქვს, მე კი სხვა შრომა არ ვიცოდი. იქაურმა ჰავამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ ძლიერ ავად გავხდი. საგუბერნიო მმართველობიდან ექიმები გამომიგზავნეს. ექიმებმა დაამოწმეს, რომ მე არხანგელსკის გუბერნიაში ცხოვრება არ შემიძლიან. მეც ამ საბუთით პლევეს ვსთხოვე, სხვაგან სადმე გადამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ პასუხად მივიღე: «თქვენი თხოვნა დაკმაყოფილების ღირსი არ არისო».

— 31 ოკდომბერსა და 1 და 2 ნოემბერს ქ. დვინსკში ომში გაწვეულმა ჯარმა

უწესოება მოახდინა. გაზეთი «ღვ. ლის.»-ი უწესოების მიზეზსა ჰხსნის და, სხვათა შორის, ამბობს, რომ ბევრი ჯარის კაცი ხალხში ხმა მაღლა ჩიოდა, სადგომებში ძალიან ვიწროდა ვართო, გვშიან, გვცივა და გვწყინს, რომ ერთ ბოთლ არაყში ფარულად მოვაჭრეს 1 მან. 50 კაპ. ვაძლევთ, ფულით თუთუნის ყიდვა შეუძლებელია, ჩაისთვის ცხელის წყლის შოვნა გაძნელებულია და სხ., საზოგადოდ ეტყობოდა, რომ უწესოების მომხდენელნი რიღათიც უკმაყოფილონი იყვნენ. (რ. ვ.).

## ნ ა რ ე ვ ი

**მეფესთან გასაცნობად ხმარებული უცნაური საშუალება.** მეფე ლეოპოლდი ამას წინად ჩრდილოეთ ბელგიაში მოგზაურობდა. როდესაც მეფე ქალ. პორუნდაში ჩამობრძანდა, ამ ქალაქის რამდენიმე ახალგაზდა ყმაწვილმა კაცმა მოინდომეს პირადათ მეფის გაცნობა და ამ აზრით ერთმანეთთან სანაძლეოც კი დასდეს, აბა ვინ მოახერხებს და შეასრულებს ამ განზრახვასაო. ბევრის ფიქრის შემდეგ ყმაწვილების ერთი ჯგუფი ნავთსადგურისაკენ გაემართა, დაიქირავეს პატარა ნავი, ჩასხდნენ შიგ და გასწიეს სამეფო იახტისაკენ. მაგრამ როგორც კი იახტას მიუახლოვდნენ, ერთმანეთს ანიშნეს და, თითქოს უცაბედათ, ნავი თავდაღმა გადააბრუნეს. რასაკვირველია, ამის მნახველი მეფე გულგრილად ვერ დარჩებოდა და იმ წამსვე უბრძანა მეზღვაურთ მათი გადარჩენა. ბრძანებისამებრ მალე სულ ყველა დაიხსნეს «უძირო და ვეშაპ ოკეანის კლანჭებისაგან», აიყვანეს მაღლა სამეფო იახტაზე, გამოუცვალეს ტანისამოსი და მშვენიერი საუზმეც მიართვეს.

ამას შემდეგ თვით მეფემაც მოისურვა მათი ნახვა და საერთოდ მიიწვია ისინი «სალონ-კაიუტაში». საუზმის დროს და შემდეგაც ახალგაზდა ყმაწვილები ჩინებულად ასრულებდნენ თავიანთ როლებს და მხოლოდ მეორე დღეს გაუმხილეს მეფეს, რომ ყოველივე ეს განგებ ჩავიდინეთ, რადგანაც გვინდოდა თქვენის პირადათ გაცნობის ღირსი გავმხდარვიყავითო. გულკეთილ მეფეს, რასაკვირველია, «მეფესთან გასაცნობად ხმარებულმა უცნაურმა საშუალებამ» სიამოვნების ღიმილი მოჰგვარა სახეზე და დიდხანს ბავშვივით იცინოდა. ასეთი ოინი არაფრად ეჭაშნიკათ მხოლოდ იმ მეზღვაურთ, რომელნიც ზღვაში გადაცვივდნენ ყმაწვილების გადასარჩენად და რომელნიც ამისათვის შესაფერს ჯილდოს მოელოდნენ.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა ბაქოში.** შარშანდელიდგან დაარსებულმა აქაურმა ქართულ სცენის მოყვარულთა გუნდმა წრეულაც დაიწყო მოქმედება: შაბათს, ნოემბრის ექვს, ბაქოს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წარმოდგენილ იქმნა, ქ-ნ ეფემია მესხის და სცენ. მოყვარულთა მონაწილეობით, ხალხის საყვარელი 5 მოქმ. დრამა «და-ძმა»—ვ. გუნიასი. ამ წარმოდგენას იმოდენა საზოგადოება დაესწრო, რომ მთელი დარბაზი თითქმის გაჭედილი იყო და ძნელი სათქმელია, თუ რა იყო ასეთ თანაგრძნობის მიზეზი: პიესის შინაარსის მიმზიდველობა, თვით წარმოდგენის საქველმოქმედო აზრი, თუ დამსახურებული სიმპატია იმ რიცხვ-მცირე გუნდისადმი, რომელიც შარშანდელს აქეთია თავისს პატარა საქმეს,—წარმოდგენების მართვა-გამგეობას—ჯერ-ჯერობით პირ-ნათლად უძღვება. უფრო კი ერთიც, მეორეც და მესამეც.

თუმცა პიესაში ყველა მონაწილე სვინიდისიერად მოპყრობოდა თავის როლის გათვალისწინებას და გაზეპირებას, რის გამოც წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, მაგრამ მაინც საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნოთ ზოგიერთის თამაშობა. პატივცემულმა მსახიობმა ქ. ეფ. მესხმა ამ საღამოს ჩვეულებრივზედ მეტი გრძნობა გამოიჩინა, მეტი ხალისიც ეტყობოდა და თითქმის უნაკლულოდ შეასრულა მარინეს როლი. საზოგადოებას უფრო მოეწონა იმის თამაშის ორი მომენტი: ერთი, როცა, ძმის გაიოზის ბრძანებით, უნდა ციხის გასაღები მოჰპაროს თავისს საყვარელ ოტიას და ყოყმანშია, უძნელდება, არ იცის, ვის მიემხროს—ძმას თუ საყვარელ კაცს, და მეორე კიდევ, როცა მარინე სთხოვს ოტიას თავისს ძმის გაიოზის არ დასჯას, პატიებას.

ქ-ნ მესხს ღირსეულად მხარს უჭერდა ერთი საუკეთესო აქაურ სცენის მოყვარულთაგანი—ბ. თალაკვაძე ოტია ჯოლიას როლში. არა მგონია, ვისმე ნაკლი შეემჩნია ბ ნ თალაკვაძის თამაშში, იმას გარდა, რომ მეტად ახალგაზდური, ოტიასთვის შეუფერებელი, გრიმი გაეკეთებინა და იმის ქცევა-მოქმედებას საჭირო სიდინჯე აკლდა.

შეიძლება ბ. თალაკვაძეს ღირს-საყოფი სასცენო მომზადება-განვითარება აკლდეს, მაგრამ მაინც ყოველთვის გულით და გატაცებით ეკიდება საქმეს და ამასთანავე უტყუარი ბუნებრივი სასცენო ნიჭი ყოველთვის ხელს უწყობს მხატვრულად დაახასიათოს და გააპიროვნოს გაბედულად ნაკისრი, მთავარი როლები და მით გაიტაცოს საზოგადოება. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ახალგაზდა ნიჭიერი ყმაწვილი კაცი, რომელიც თითქმის დღიურის მუშაობით ირჩენს თავს, საშუალება-დახმარებას მოკლებულია, სასცენო მომზადება მიიღოს და მით შეიქმნეს ქართულის სცენის ერთ დამამშვენებელ არტისტად.

ბუნებრივი და გადაუჭარბებელი იყო მოხუც და მადლიან ქუჩუ ადამიას როლში ბ-ნი გამოურკვეველი, რომლის მოფიქრებული, დინჯი და გრძნობიერი თამაში მოგაგონებდათ ჩვენის მსახიობის ბ-ნ გამყრელიძის თამაშს. ბ-ნი გამოურკვეველს (უფრო კი უკვე გამორკვეულს) ეხერხება მოხუცებულების და გლეხების როლები და, ცოტა შრომა რომ არ ეზარებოდეს, ღირსეულ ადგილს დაიჭერდა აქაურ სცენის მოყვარულთ შორის.

ბევრს კიდევ მოსწონდა თამაში ზ. ივერიელისა და გაცხარებულ კამათში ვერ გადაეწყვიტათ: ეს უკანასკნელი სჯობდა, გაიოზ ფალავას როლში, თუ ბ-ნი თალაკვაძე ოტიასაში.

ახალგაზდა მსახიობის ბ-ნ ბარველის სასცენო უნარი, გიორგი ადამიას როლში, ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩა; ეს შეიძლება იმის მიზეზიც იყოს რომ მისთვის შედარებით უჩინარი როლი ეკისრებინათ. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუმცა სცენაზედ თამამად და გაბედულად ეჭირა თავი, მაგრამ იმის თამაშს როლის შესაფერი სიმკვირცხლე და ახალ-გაზდური გატაცება აკლდა.

კარგად გამოცდილი სცენის მოყვარული ბ-ნი დ. შველიძე, როგორც ყოველთვის, ეხლაც მოეწონათ ფარად-ფაშას როლში, მაგრამ ვერ მოვითმენთ, რომ არ შევნიშნოთ, სიდინჯე და გულ-ზვიადობა აკლდა ამ «ოსმალთ სპასალარს».

დანარჩენთაც თავის მონაწილეობით არ წაუხდენიათ პიესის დაწყებიდგან გათავებამდის მშვენივრად დაცული, როგორც რეცენზენტები იტყვიან, «საერთო ანსამბლი»; გეგონებოდათ, სცენის მოყვარულთ კი არა ვხედავთ, არამედ ჩვენ დამსახურებულ არტისტებს, როცა უკანასკნელნი, დაზეპირებულ როლებით, ხალისით გამოდიან სცენაზედ.

მშვენივრად და მწყობრად შეასრულეს მეხუთე მოქმედებაში სახალხო სიმღერები ბ-ნ ღლონტის ლოტბარობით და უფრო მელოდიური და სასოებიანი გამოვიდა საპყრობილეში ტყვეების მიერ დაჩოქილად და ხელების აპყრობით წარმოთქმული ლოცვა.

წარმოდგენის გათავებისას დამსწრე საზოგადოება დიდ-ხანს არ ეშვებოდა მოთამაშეთ; ბევრჯერ გამოიწვია სცენაწედ და ხანგრძლივის ტაშის-ცემით დააჯილდოვა.

გ. ახალციხელი.

—

P. S. ამასთანავე ვსარგებლობთ შემთხვევით და არ შეგვიძლია საყვედური არ გამოვუცხადოთ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უყურადღებობაგულ ცივობისათვის მისგანვე ნაკისრ მოვალეობის აღსრულებაში: ეს მეორე წელიწადია, აქაური სცენის მოყვარულთა წრე გაჯერდა, თუ თხოვნა-წერილების, თუ კაცების გზავნით და აქნობამდე ვერ ეღირსა დრ. საზ. გამგეობისაგან ჯეროვან ნდობის (полномочіе) ქაღალდის მიღებას, რომ აქაურ წრეს ოფიციალური ხასიათი ჰქონდეს, რადგან მაშინ აღარავინ შემოუუჟფავს, თავის სახელით შეეძლება მოქმედება სახალხო წარმოდგენების მართვა-გამგეობაში და ისეთ უხერხულ მდგომარეობაში აღარ იქმნება, როგორშიაც ეხლაა...

გ. ახ—ი.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

—

**ნაკადული, საყმაწვილო ჟურნალი № 1.**

დიდის სიამოვნებითა და ინტერესით მივეგებეთ ახალ საყმაწვილო ჟურნალის პირველ ნომრებს. პირველი წიგნი პატარა ბავშვებისათვისაა (10 ან 11 წლამდის), მეორე კი უფრო მოზრდილთათვის (11-დგან 14-დის). პირველ ჟურნალს უფრო გამორკვეული და გათვალისწუნებული საგანი და აზრი ჰქონია, ვიდრე მეორეს. ეს ნათლადა სჩანს შინაარსის შეწყობა-არჩევიდგან: ჯერ ერთი, ჟურნალში დაბეჭდილი თითქმის ყველა ლექსი, მოთხრობა და კომედია-ხუმრობა მარტივისა და ადვილად გასაგებ ენით არის დაწერილი, და მეორე, ეტყობა, რომ ამ ნომრის შემდგენელთ კარგად ჰქონიათ განსაზღვრული და შეგნებული იმ წრისა და წლოვანების ბავშვთა სულიერი მოთხოვნილება, რომელთათვისაც დანიშნულია წიგნი. ყველაზე უფრო კი საგულისხმო ის არის, რომ, ზოგიერთ ცალკე სიტყვების გარდა, ბავშვს, სხვის დაუხმარებლად, ყველა მოთხრობისა და ლექსის წაკითხვა-შეგნება შეუძლიან. ჩვენის აზრით, ჟურნალის ამ მხარეს ქ.ქ. რედაქტორებმა ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციონ.

კოხტად, მარტივად, მკაფიოდ და ცოცხლად არის დაწერილი ბატონ ვაკელის ლექსი „ქუცუნიას ოჯახი“. ლექსს ისეთი მშვენიერი და საუცხოვო სურათებიც აქვს დართული, რომ მისი წაკითხვა მოზრდილსაც ნამდვილ სიამოვნებას აგრძნობინებს. გარეგნულის მხრითაც ჟურნალი ძალიან კარგად არის გამოცემული, ბევრი სურათი აქვს ჩართული, შმერლინგის მიერ მშვენივრად დახატული.

მეორე წიგნს (მოზრდილთათვის) ის ნაკლი აქვს, რომ ცალმხრივობა ეტყობა. მართალია, წიგნში საბუნებების-მეტყველო წერილიც არის, ჩეხოვის მშვენიერი მოთხრობაც, აგრეთვე არის კარგი წერილები გ. ერისთავისა და სტ. ზუბალაშვილის შესახებ, მაგრამ 13—14 წლის ბავშვებისთვის უეჭველად საჭიროა ადვილი გასაგები ქართული ისტორია, გეოგრაფია, ეტნოგრაფია და სხვა უფრო სერიოზული წერილები და მოთხრობები. გარეგნულად ეს წიგნიც, როგორც პირველი, კარგად არის გამოცემული, ბევრი სურათი აქვს ჩართული და კარგ ქაღალდზედაც არის დაბეჭდილი. საზოგადოდ საჭიროა მეორე ჟურნალის (მოზრდილთათვის) პროგრამისა და მიმართულების გამორკვევა და, ვიმეორებთ, უფრო სერიოზიულისა, და შინაარსის მხრივ მრავალ გვარ წერილების ბეჭდვა.

დასასრულ, რაც უნდა იყვეს, ორივე წიგნი საზოგადოდ ისეთს კარგ შთაბეჭდილებას იძლევა, რომ შეუძლებელია ჟურნალის გამომცემელსა, რედაქტორებსა და თანამშრომლებს ჩვენი გულითადი მადლობა არ უძღვნათ და თვით ჟურნალს კი წარმატება და ხალხში გავრცელება არ უსურვოთ.

მ. ა.

## წ ე რ ი ლ ი

### რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

«ივერიის» მე-255 ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ბეროზაშვილისა, შესახებ „Кавказскій Листокъ“-ის სტამბისა, რომელიც თავიდან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულია. ამიტომ სიმართლის აღსადგენად მოგახსენებთ შემდეგს: 20 სექდემბერს შემოვიდა სტამბის კანტორაში (და არა საწყობ ოთახში, როგორც ბ-ნი ბეროზაშვილი ამბობს) ვიღაც ახალგაზდა კაცი, სადაც დავხვდი მე, თქვენი უმორჩილესი მონა, ხსენებულის სტამბის გამგე. შემოვიდა, მაგრამ ისეთის რიხითა და შახიუშხით, რომ «ხლესტაკოვი» იმასთან ღმერთმა შეარცხვინოს; ცხვირ-აწევითა და ბრძანების კილოთი დაიწყო ყვირილი: „Гдѣ хозяинъ, гдѣ хозяинъ??“. მე თუმცა ცხვირ-წინ ვუდექი, მაგრამ ზედაც არ შემომხედა და შევნიშნე ზრდილობიანად რუსულადვე: „ჯერ ქუდი მოიხადეთ და მერე გვიბრძანეთ, რა გნებავთ-მეთქი?!“ ეს ჩემი შენიშვნა ბ-ნმა ბეროზაშვილმა (თურმე „სანიტარი“ ბრძანებულა) კატრად არ ჩააგდო და განაგრძო: „гдѣ хозаинъ“-ის ძახილი... ამ დროს მეორე ოთახში მყოფმა ნ. ი. თამამშევმა გაიგო ჩვენი ხმა-მაღალი ლაპარაკი და, რასაკვირველია, არც იმან მოუწონა ასეთი თავხედობა და გაიმეორა ჩემი სიტყვები: «ქუდი მოიხადეთო». რასაკვირველია, მაშინ იკადრა ქუდის მოხდა... შემოიარა ყველა ოთახები პოლიციელის თანხლებით, გათავებისას გამოვიდა გარედ და უთხრა ხელქვეითს ჩვენდა გასაგონათ: „напишите, что нашли въ грязномъ состояніи“. ამ გასაოცარ სიტყვის გაგონებაზე ბ. თამამშევმა შემოიყვანა იქვე მდგომი პოლიციელი და უთხრა,—კარგად დაეთვლიერებინა ერთის კუთხიდან მეორე კუთხემდე, მაგრამ რაც არ იყო, რა უნდა ენახა...

ამ წერილის დაწერით თავს არ მოგაწყენდით მაინც და მაინც, მაგრამ დამწერი შეეხება სტამბის სისუფთავეს და ჩემდამო რწმუნებულ სტამბის ასოთ ამწყობთა საქციელს. ამიტომ უნდა მოგახსენოთ, რომ, რაც შეეხება სტამბის სისუფთავეს, ამ მხრივ იმას თუ პირველი ადგილი არ უჭირავს, სხვას მაინც არ ჩამოუვარდება. თვით სტამბის ოთახები პატარეებია, იატაკი შეღებილია და დღეში ორჯერ იწმინდება ნავთით. გარდა ამისა, მომუშავეებს ეძლევათ ჩაი. აი, ყველა ამეების შემდეგ ბ ნმა ბეროზაშვილმა მოიგონა რაღაც «ქუჭყი და ფილასები», მაგრამ ალბად გულ-მოსული ყოფილა...

ბ ნი ბეროზაშვილი ამბობს: «ბ-ნ თამამშევს სტამბის ყველა ასოთ-ამწყობებმა თანაუგრძნეს და «ჟესტი» მომაძახესო», მაგრამ შემიძლიან დავარწმუნო სისუფთავის მოყვარული «სანიტარი», რომ ჩემდამო რწმუნებულ სტამბის ასოთ-ამწყობნი იმდენად ზრდილნი არიან, რომ «ჟესტის» მიძახებას კი არა, ქუდ-მოუხდელად თუნდ უბრალო მაღაზიაში შესვლასაც არ აკადრებენ თავიანთ თავს, არა თუ სტამბის კანტორაში, სადაც ხატი ასვენია.

«რაც მოგივა დავითაო, ყველა შენის თავითაო»,—ნათქვამია; ვინც ზრდილობიანად იქცევა, ის თავის თავსა სცემს პატივს და ბ-ნმა ბეროზაშვილმა კი მაშინ არც თავის თავსა სცა პატივი და არც იმ სწავლა-განათლების ბურჯსა და იარაღს, რომელსაც სტამბა ეწოდება.

სტამბის გამგე დ. ხელაძე.

### „ივერიის ფოსტა“

—

**დ. რ—ძს.** თქვენი „წერილი რედაქციის მიმართ,“ არ დაიბეჭდება. ჩიტი ბდღენად არა ღირდა, დევნა მეტი იყოვო, ნათქვამია.

**ი. ბ—ძს** თქვენი „ჩვენებური რამე-რუმე“, 14 ნოემბრას თარიღით გამოგზავნილი არ დაიბეჭდება. ნუ დაგვემდურებით. მოგვაწოდეთ მანდაური ამბები.

## დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

### დილის დეპეშები.

16 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა ხელმწიფის სახელობაზედ, 15 ნოემბრის თარიღით: «15 ნოემბერს ცინხეჩენთან განახლებული ბრძოლა დილის 11 საათშესწყდა. ჩვენის პოზიციების შუაგულ და მარჯვენა ფრთის მახლობლად დახოცილ იაპონელთა გვამებს ვკრეფავთ და მიწას ვაბარებთ. 12 საათამდე 230 გვარი დევმარხეთ; ყველანი მე-9 სარეზრევო ბრიგადის მე-7 პოლკიდგან არიან. მტერს წავართვით მრავალი სხვა-და-სხვა იარაღები და ტყვია-წამალი. სხვა ბრძოლის თაობაზედ 15 ნოემბერს მოხსენებანი არ მიგვიღია, რასაც უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 16 ნოემბრის თარიღით: „15 ნოემბერს, ნაშუადღევს, მტრის ჯარის ერთმა ნაწილმა იერიში მიიტანა ცინხეჩენთან მდებარე პოზიციებზედ, მაგრამ მერე ნელ-ნელა დაიწყეს უკან დაწევა. ჩვენი მოწინავე ნაწილები გამოუდგნენ მტერს, რომელმაც რუსებს სროლა აუტეხა პოზიციებიდგან 4 ვერსის მანძილზედ მდებარე სოფელში ჩასაფრებულებმა. ჩვენს არტილერიას ვერ გაუძლო მტერმა და დასცალა ეს სოფელი. 15 ნოემბრის ღამეს ბრძოლის თაობაზედ მოხსენებანი არ მიგვიღია».

**სუეცი,** 15 ნოემბ. (რეიტერი). ბალტიის ესკადრა ჯიბუთს შეივლის. რუსეთის მთავრობამ დაიქირავა სამი გემი, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ იმ გზებს, სადაც ესკადრამ უნდა გაიაროს.

**ტოკიო,** 15 ნოემბერი (რეიტერი). პორტ-არტურის იერიში ისევაა წინანდებურის თავგანწირულებით. აქ დიდ მოუსვენრობასა ჰგრძნობენ, რადგანაც იციან, რომ იაპონელთა გარეშემოდგომილი ჯარი ისეთს ღონესა ჰხმარობს ციხის ასაღებად, რომ ადამიანთა ძალას აღემატება. მთავრობის მხრივ მდუმარება იმას მოასწავებს, რომ გამარჯვება არც ისე ახლოა, როგორც აქამდე ჰფიქრობდნენ.

**ჩიფუ,** 15 ნოემბ. (რეიტ.). აქ მოსულმა შიკრიკმა გვიამბო, რომ 13 ნოემბერს მეტად უდიერი ბრძოლა იყო პორტ-არტურთანაო. ასობით მოსულნი დაჭრილნი იაპონელნი პორტ-არტრიდან და ლიაოიანიდან დალნიში უსხდებიან გემებზე და მიდიან იაპონიაში. ახლა ემჩნევა, რომ მხოლოდ მცირე ნაწილია ტოგოს გემებისა პორტ-არტურის ალყის შემოსარტყმელად.

**მუკდენი,** 16 ნოემბერი. თავგამოდებულნი მეომარნი მე-9 და მე-20 პოლკისა, კაპიტან კოტლუბაიას უფროსობით, დაეცნენ ნანგანძის, დაიჭირეს ეს ადგილი პუტილოვის გორაკის წინა და ნახევარს საათს ისროდნენ თოფებს, ვიდრე საპიორებმა არ ააფეთქეს სამლოცველო, რომელიც კოშკადა ჰქონდათ გადაქცეული იაპონელებს. ასე ჰქმნეს და გამობრუნდნენ. ზარალი მცირეა: დაიჭრა ერთი მსროლელი.

**ხუნშანი,** 16 ნოემბ. გუშინ იაპონელებმა იერიში მიიტანეს რენენკამფის რაზმზედ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ დიდის ზარალით. მარჯვენა ფრთიდან გარს გვივლიდნენ, მაგრამ ჩვენმა ბატარეიამ უკან დააწევინა. მოვაგროვეთ და დავმარხეთ 300 მოკლულ იაპონელთა ცხედარი. დაგვრჩა ბლომად იარაღი.

**პარიჟი.** მთავრობის კანონ-პროექტი ეკკლესიის განცალკევებისა სახელმწიფოსაგან უარ-ჰყო პარლამენტის კომისიამ 13 ხმით, წინაალმდეგ 11-ისა. კომისიაში 35 კაცია, ხოლო ზემოხსენებულს კრებას არ დაესწრო უმეტესობა მთავრობის მომხრეთა.

**ტოკიო,** 16 ნოემბ. (რეიტ.). ირწმუნებიან, რომ ღამე მიტანილს იერიშს 203 მეტრის სიმაღლის გორაზედ კარგი შედეგი მოჰყვაო. ამ გორაკის დაჭერის შემდეგ, იაპონელებისათვის ნავთსადგურის აღარც ერთი ნაწილი არ იქმნება დაფარულიო.

**პეშავერი,** 16 ნოემ. (რეიტ.). ქაბულიდგან ამბავი მოვიდა, რომ რუსთა ჯარი მოვიდა ხისარ-ბანდარსო. რუსებმა ააშენეს ახალი ქარვასლა და იქ მოათავსეს ყოველნაირი სავაჭრო საქონელი. წინად ავღანელნი ტაშკენტს მიდიოდნენ ხოლმე რუსეთის საქონლის საყიდლად. ახლა ისეთი დროა, რომ ვაჭრობა დღითი-დღე იზრდება და მატულობს: ამბობენ, რომ ეს ახალი საქმე პოლიტიკურის აზრით არის დაწყებული რუსებისაგანაო. ფეიზაბადის გუბერნატორი სწერს ემირს წინად ამ ადგილებში მხოლოდ რუსთა დარაჯნი იყვნენ ხოლმე და ახლა 4,000 ჯარის კაცი მოვიდაო. რუსის ოფიცერნი სურსათს ბადახშანის ვაჭრებს ართმევენო. ემირმა გუბერნატორს რუკა გაუგზავნა რუსეთ - ავღანისტანის საზღვრებისა და უბრძანა, ეცადე მალე დარწმუნდე, რუსები ჩვენს მიჯნას ხომ არ გადმოსცილებიანო. ამას გარდა, ემირი დეპეშით სწერს გუბერნატორს, ქალაქის გარშემო სასწრაფოდ ააგე სიმაგრენიო. ასეთივე ბრძანება მოუვიდა მაინის გუბერნატორს.

**ვაშინგტონი,** 15 ნოემბ. (რეიტერი) რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა გადასცეს მთავრობას ქაღალდი, რომ დაჰნიშნოს მაღალ-ხარისხოვან მეზღვაურთა ოფიცერი გოლის ინცინდენტის გამომძიებელ კომისიის წევრად.

**ვაშინგტონი,** 15 ნოემბ. (რეიტერი) მთავრობა ადმირალ დევესა სთხოვს, იკისროს წარმომადგენლობა შეერთებულ შტატებისა კომისიაში. თუ დევემ არ იკისრა, მის მაგიერ დაინიშნება კონტრ-ადმირალი ჩედვიგი, პრეზიდენტი სამხედრო საზღვაო კოლეგიისა ნიუ-პორტში.

### საღამოს დეპეშები

17 ნოემბერი.

**პარიჟი,** 16 ნოემბ. (ჰავ. სააგ.). მინისტრთა საბჭოში დელკასემ გამოაცხადა: რუსეთმა და ინგლისმა ისურვეს, რომ საფრანგეთის მხრივ დანიშნულ იქმნას ად-

მირალი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს გულში მომხდარ ამბის გამოსარკვევად დანიშნულ კომისიის შრომაში. საფრანგეთმა დანიშნა ადმირალი ფურნიე. გარეშე საქმეთა სამინისტროს სადგომი კომისიას დაეთმობა.

**ბრესტი**, 16 ნოემბ. (ჰავასი). რუსეთის ნაღმიანი გემი «პრონზიტელნი» სამხედრო ნავთსადგურში შემოვიდა. ლამანშის სრუტეს გავლის დროს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რის გამოც გემი დაზიანდა: გვერდები რამდენიმე ალაგას შენგრეული აქვს, საჭე გაუზრუნდდა. ეხლა გემის ძირს სინჯავენ.

**ლონდონი**, 15 ნოემბ. (რეიტ). ჟურნალ «ნაინ. სენ.» ში დაბეჭდილია ბაშფორდისა და გრაფ ბიულოვის ნალაპარაკევი. ბიულოვმა სთქვა, რომ გერმანია მშვიდობიანობას აფასებს და ამიტომ რუსეთსა და ინგლისს რომ შეტაკება მოსვლოდათ, გერმანიას ძალიან ეწყინებოდა. ამიტომ იყო, რომ გერმანია ცდილობდა, რათა ეხლანდელ ომში არავინ ჩარეულიყო. გერმანიამ ის მოახერხა, რომ ჩინეთი ნეიტრალიტეტს იცავს. გერმანიას რუსეთთან განსაკუთრებული ხელ-შეკრულობა არა აქვს დადებული, მაგრამ გერმანიას სურს რუსეთთან წინანდებური მშვიდობიანი დამოკიდებულება დაიცვას და ამასთან ნეიტრალიტეტიც არ დაარღვიოსო.

**ტოკიო**, 16 ნოემბ. (რეიტერი). იაპონელების მთავარ-ბანაკიდან იუწყებიან: 14 ნოემბერს საღამოს რუსებმა სანტაოკუნძუს ზარბაზნები დაუშინეს. 6 საათზედ რუსების ქვეითა ჯარმა იერიში მოიტანა, რომელიც ჩვენ 8 საათზედ მოვიგერიეთ. იერიშის დროს რუსების მორტირები სანტაოკუძსა და კანსივაძეს ყუმბარებს უშენდნენ. 16 ნოემბერს მზის ჩასვლამდე რუსების მორტირები და სავაკე არტილერია განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარას კუძუაძუს მიდამოებს, რკინის გზის დასავლეთით. იმავ დროს რუსების ქვეითა ჯარმა კონკუანძუდან ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე სოფელი დაიჭირა. სიაოძუფუს მხარესაც ისროდნენ ზარბაზნებს. იმავ დღეს, ღამის 10 საათზედ, შახეს მარჯვენა ნაპირას, რკინის გზის დასავლეთით რუსების ქვეითა ჯარმა თოფები დაგვიშინა. 11 ნახევარ საათზე სროლა შესწყვიტა. მთავარი ბანაკი პორტ-არტურთან საქმის ვითარების შესახებ იუწყება: იაპონელებმა აიღეს გლასისების მწვერვალები და იმ ფორტების კონტრ ესკარპები, რომელნიც სუნშუნშანის ფორტის გვერდით არიან. ამ ფორტების აღების დრო კი ჯერ არ მოსულა. ეხლა იაპონელები 203 მეტრის ფორტის ხვრელებს ანგრევენ. რამდენიმე იერიშიც მიიტანეს და აიღეს გორაკის მწვერვალთან დამალული თხრილები. ეხლა ამ პოზიციებზე დგანან და მთელ ფორტის აღებას ცდილობენ.

**ტოკიო**, 16 ნოემბ. (რეიტერი). აღმოსავლეთ ფორტების შტურმი შეაჩერეს, რადგან ნოგიმ შტურმის შეჩერების ბრძანება მიიღო, ნოგიმ მთავარ შტაბს დაწვრილებითი მოხსენება გაუგზავნა 10 და 14 ნოემბერს მომხდარს სამხედრო მოქმედების შესახებ, რომელიც არ არის გამოცხადებული. გამოქვეყნებულია მხოლოდ ის მოხსენება, რომ იაპონელებმა სუნშუანშანის ფორტის წინა პოზიციები აიღესო. იაპონელების საპიორებმა მუშაობა ხელახლად დაიწყეს. ყველაფრიდან სჩანს, რომ ის სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც პორტ-არტურის შტურმით აღებას მოასწავებს. ამბობენ, ნოგი სწერს, რომ იაპონელებმა იმდენად ვერ განახორციელეს თავის აზრი, რავდენადაც მოსალოდნელი იყო. იაპონელები აღშფოთებით ადევნებენ თვალ-ყურს აალტიის ესკაორის სიარულს.

**შებურგი**, 17 ნოემბერი. კრეისერმა «დნეპრ» მა და ორმა ნაღმოსანმა გემმა დაზიანებული ნაწილები შეაკეთეს და შორეულ აღმოსავლეთისკენ წავიდნენ.

**ჩიფუ**, 16 ნოემბერი. (რეიტერი), დალნიდგან მიღებულ იაპონელთა ცნობით, პორტ-არტურის ფორტებზედ უკანასკნელი იერიში დაიწყო 11 ნოემბერს და 16 ნოემბრამდე არ შეწყვეტილა. იაპონელებს, როგორც სჩანს, განზრახვა ჰქონდათ ერლუნშანისა და ძანგუაშანის მწვერვალების მახლობლად მდებარე თხრილების აღება თვით ფორტებზედ კი არ მიუტანიათ იერიში, რანდენისამე დღის განმავლობაში განუწყვეტელის ყუმბარების სროლის შემდეგ მე-11 დივიზიის რაზმმა დაიწყო წინსვლა. 11 ნოემბერს ნაშუადღევს რაზმი ეცა თხრილებს, რომელიც ძინგუაშანიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთით ფორტის სანგარს ჰფარავდა. დიდი ბრძოლა მოჰხდა ამ თხრილების დაჭერისათვის· თუმცა იაპონელნი რამდენჯერმე უკუ-აქციეს, მაგრამ ხუთის საათის ბრძოლის შემდეგ მაინც მოახერხეს და განდევნეს რუსები და თხრილები დაანგრიეს, იაპონელთა მოიერიშეთა ერთ ნაწილს ჰქონდა ქვა-ხრეშით გავსებული ტომრები, რომლითაც თავს იფარავდნენ დაჭერილ პოზიციებზედ ამავე დღეს, ღამის 11 საათზედ, რუსები რამდენჯერმე გამოვიდნენ ფორტიდგან, რომელიც ამ პოზიციების პირდაპირაა მაღლობზედ, მაგრამ, როგორც იაპონელნი იუწყებიან, უკუ-ქცეულ იქმნენ ორის საათის ბრძოლის შემდეგ. სიმაგრეთა მეორე რიგი, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე იერიშ-მიტანილი, მდებარეობს უფრო წინ. ჩინელთა წყაროებიდან მიღებულის ცნობებით დალნიში მისულა 30 ვაგონი მატარებელი, პორტ-არტურის მოწინავე პოზიციებზედ დაჭრილ ჯარის კაცებით.

**ჩიფუ**, 16 ნოემბ. (რეიტერი). პორტ-არტურის უკანასკნელის იერიშის დროს იაპონელთ ააფეთქეს ნაღმები რუსთა უმთავრეს მოსაგერებელ სიმაგრეებთან, ერლუშანგთან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით. გლასისის ერთი ნაწილი ჩაინგრა დიდ ორმოში. იაპონელებმა იერიში მიიტანეს აგრედვე სხვა მეორე ხარისხოვან ფორტებზედაც, ძინგუაშინის მახლობლად. და მოუკლეს 4,000-მდე კაცი ერთის საათის განმავლობაში. ბრძოლა ყოველ დღე იმართება უკიდურესის თავგანწირულებით. იაპონელნიც არა ჰმალავენ და ამბობენ,— დიდი ზარალი მოგვივიდაო. ამბობენ, ვითომ სამის კვირის შემდეგ აიღებენ ციხესაო. გუშინ მტრედის ნავთსადგურში სატრანსპორტო გემებიდგან სულ ახალი ჯარი გადმოსხეს. იაპონელნი ირწმუნებიან, რომ ამ ჟამად ვაშენებთ გვირაბს ლიაოტეშანის ფორტისაკენ და იმედი გვაქვს, ავიღებთ კიდეც იერიშითაო.

**კაპშტადტი**, 16 ნოემბერი. (რეიტ.). გერმანიის სვაკოპ-მუნდელი მოხელენი იუწყებიან, რომ რუსის ესკადრა მოვიდა ანგრა-პეკენს. შეუძლიანთ ნახშირით დატვირთვა, როგორი ამინდიც უნდა იყოსო.

**პეტერბურგი**. კუროპატკინის უქვეშევრდომლესი დეპეშა, 16 ნოემბრის თარიღით: «იაპონელთა რაზმი, რომელმაც ჩვენს ცინხეჩენთან ჯარებთან შებრძოლების შემდეგ უკან დაიწია, გაჩერდა თავის ზურგის ჯარითურთ სოფ. სუიდუკთან, ძინჩანის გზაზედ და უღელტეხილზედ, ცინხეჩენიდგან 12 ვერსის მანძილზედ სამხრეთ - აღმოსავლეთად. ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით, იაპონელნი ცუდს გუნებაზედ არიან. მიჰყავთ ბევრი დაჭრილი. დღეს დილით ჩვენმა ჯარებმა სატევი მოქმედება დაიწყეს, ჩვენის პოზიციიდგან 70 ვერსის მანძილზედ მოწინავე რაზმს სროლა დაუწყეს. 12 საათზედ ჩვენმა არტილერიამ სროლა გააჩაღა, ხოლო ქვეითა ჯარმა კი შეუტია. სხვა მოხსენებანი ბრძოლის შესახებ არ მოსულა; ამას უქვეშევრდომლესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
19 ნოემბერს 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,87 1/2 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,40 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,52 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 1/8 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 3/8 მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 428 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 322 1/2 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 272 1/2 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2 % ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| 4 1/2 % ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 91 წ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87 1/4 ნ. გაყ. |

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში, ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი


იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი — 1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა.
ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი**: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ»

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.
(0—უ—1).



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0-ნ—16)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

## ღალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთი. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.
(5—6—)


Дозволено цензурою Тифлисъ, 17 ноября, 1904 г
Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.